"ბოშები თუ მოვლენ, თავს მოვიკლავ"
ხუთშაბათი, 08 აგვისტო 2013 20:47

საფრანგეთის შერ დეპარტამენტის სოფელ შავანის მერმა პოლ რენოდამ განაცხადა, რომ მის სოფელში ბოშები თუ მივლენ, ის თავს მოიკლავს.
200 მოსახლეს მქონე სოფლის მერმა მისიის შესახებ პოლიციას და ადგილობრივ რადიოსადგურ RDB-ს განუცხადა.
პოლიცია დაუყოვნებლივ მივიდა მერის სახლში და იგი ჰოსპიტალში გამოკვლევაზე წაიყვანა, სახლში ნაპოვნი სანადირო თოფი კი ჩამოართვეს.
რენოდანის განცხადების მიუხედავად, შავანში ათობით ბოშათა ოჯახი ჩავიდა და სტადიონზე დასახლდა.
აცხადებენ, რომ მერმა მათ ნება დართო.
შემდეგ მოსახლეობამ უკმაყოფილება განაცხადა და მერმა თვითმკვლელობის შესახებ განაცხადი გააკეთა.
ბოშების წასვლის შემდეგ მან განაცხადა, რომ სიტყვას უკან არ იღებს.
საფრანგეთში 400 ათასამდე ბოშა ცხოვრობს და მათ 95 პროცენტს ქვეყნის მოქალაქეობა აქვთ.
ბოშები, რომლებიც ქვეყნებს იცვლიან, ფურგონებში ცხოვრობენ.
კანონის მიხედვით, ადგილობრივმა ხელისუფლებამ მათ დასარჩენად ადგილი უნდა გამოუყოს.

1 / 1